ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3452828

ნომერი: AR1528857

თარიღი : 31.07.2017

გაცემის თარიღი : 07.08.2017

გაცნობის თარიღი : 07.08.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ოთარ ონიაშვილი , N 19/ ქუჩა მირზა გელოვანი, N5;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამარ გვარამია პ/ნ 01031004186
- თბილისი ა.ანტონოვსკაიას ქ. N 9 ბ. 62

ორგანიზაცია:
- ესთელაინი კოდი: 204955076

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

იმისათვის, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაცემულ წერილში მითითებული დანართი #1. ასევე გაითვალისწინეთ, რომ საპროექტო კიბისა და პანდუსის კვადრატულობა ზუსტად უნდა ჯდებოდეს დანართში მითითებულ კვადრატულობაში.

-წარმოდგენილი ტოპოგრაფიული გეგმის მიხედვით საკადასტრო საზღვრები დაცილებულია არსებული შენობის კედლიდან, ხოლო საკადასტრო გეგმის მიხედვით საკადასტრო საზღვარი გადის ზედ შენობის კონტურზე. აღნიშნული მოიყვანეთ შესაბამისობაში. აღნიშნულის განხორციელებისას, იმ შემთხვევაში თუ მოხდება საკადასტრო გეგმის დაკორექტირება ტოპოგრაფიული გეგმის მიხედვით, რაც ნიშნავს იმას რომ კიბისა და პანდუსის მოწყობა ნაწილობრივ მოხდება მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებს შიგნით, შესაბამისად საჭირო იქნება მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრის ამონაწერისა და შესაბამისი მესაკუთრეების თანხმობების წარმოდგენა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.